სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 მაისი, 2024 წელი

ბრძანება N01-02/63

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების **სამეცნიერო** სტრუქტურული ერთეულების **(განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია** **კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N7, N8, N9 გადაწყვეტილებების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის N07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის", „ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 მარტის N01-02/74 ბრძანების, „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 30 დეკემბრის N01-10/173 ბრძანების, „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 მაისის N01-55/03 ბრძანების, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 მაისის N01-55/04 ბრძანების, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 01 მაისის N493415 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 01 მაისის N493707/N493725 სამსახურებრივი ბარათების და ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 01 მაისის N493690 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 20 მაისს **გამოცხადდეს ღია კონკურსი** ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის **სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების** თანამდებობების დასაკავებლად, წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** მიხედვით.
2. გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge (კონკურსების ველში) **კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია** (წინამდებარე ბრძანების **N2 დანართი**); წინამდებარე ბრძანება, ასევე სამართლებრივი აქტები: ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის N07-01/15

გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესი"; ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ინსტიტუტების დებულებები.

3. **საკონკურსო ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:**

ა) 2024 წლის 03 ივნისიდან 07 ივნისის ჩათვლით - საკონკურსო განცხადების (ანკეტის) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) სრულად უნდა შეივსოს ელექტრონულად, ბსუ-ს **პორტალის მოდულში** <u>,,სამეცნიერო განყოფილების უფროსის კონკურსი"-</u> **<u>www.portal.bsu.edu.ge/jobs</u>** და თან უნდა დაერთოს (აიტვირთოს) შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული და საკონკურსო განაცხადში (ანკეტაში) ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ვერსია. საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) და დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენისა და **საპროცედურო კომისიის** მიერ დადასტურების შემდეგ, კონკურსანტმა **ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში** (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, **პირველი კორპუსი, ოთახი N14)** მატერიალური სახით **უნდა წარმოადგინოს** ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით" გათვალისწინებული და წინამდებარე ბრძანების **N2 დანართში აღნიშნული** საკონკურსო **დოკუმენტაცია);**

ბ) არაუგვიანეს 2024 წლის 07 ივნისს, <u>17:00 საათისა</u> - განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე ინფორმაცია დადგენილ ვადებში დარეგისტრირებული კონკურსანტების შესახებ და საკონკურსო მასალები გადაეცეს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს;

გ) კონკურსი ჩატარდეს (ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული იქნეს შესაბამისი განყოფილებების უფროსების კანდიდატურები და წარდგენილი იქნეს შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორისათვის) **2024 წლის 10 ივნისს.**

4. ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული განყოფილებების უფროსების კანდიდატურები, შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცების შემთხვევაში წარედგინოს ბსუ-ს რექტორს <u>არაუგვიანეს **2024 წლის 11 ივნისისა**</u> და გამოიცეს **ბრძანება** გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე (2024 წლის **12 ივნისიდან 5** წლის ვადით - 2029 წლის 13 ივნისამდე).

5. **დამტკიცდეს** ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილების უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის მონაწილე კონკურსანტის ელექტრონული საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ფორმა, წინამდებარე ბრძანების **N3 დანართის** შესაბამისად <u>და ბსუ-ს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გაუწიონ ორგანიზება/კოორდინირება</u> ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის" და წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით ბსუ-ს პორტალზე კონკურსანტის ელექტრონული საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ფორმის ჩაშენებას.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (,,ველებში: ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები" - მხოლოდ ბრძანების N3 დანართი; ,,რექტორის ბრძანებები" , ასევე ,,კონკურსების" ველში - ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო განცხადებაზე თანდართულ ფაილებში).

7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, აკადემიური საბჭოს სამდივნოს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 20 მაისის N01-02/63 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილების) უფროსების ვაკანტური თანამდებობები

(2024 წლის 12 ივნისიდან)

1. **აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული.
2. **ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული.

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების ვაკანტური თანამდებობები

1. **ისტორიისა და არქეოლოგიის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;
2. **ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;
3. **ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების უფროსების ვაკანტური თანამდებობები

1. **მცენარეთა დაავადების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული.
2. **გამძლეობის გენეტიკის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული.
3. **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;
4. **კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;

„ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 20 მაისის N01-02/63 ბრძანების

დანართი 2

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების **სამეცნიერო** სტრუქტურული ერთეულების **(განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია**

1. გამოცხადდა ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „ბსუ“) **დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების** (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის; აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის) **სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების თანამდებობების** დასაკავებლად.
2. **კონკურსის ვადები განისაზღვრა შემდეგნაირად:**

ა) **2024 წლის 03 ივნისიდან 07 ივნისის ჩათვლით** - საკონკურსო განცხადების (ანკეტის) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) სრულად უნდა შეივსოს ელექტრონულად, ბსუ-ს **პორტალის მოდულში** „სამეცნიერო განყოფილების უფროსის კონკურსი“- **www.portal.bsu.edu.ge/jobs** და თან უნდა დაერთოს (აიტვირთოს) შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული და საკონკურსო განაცხადში (ანკეტაში) ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ვერსია;

ბ) არაუგვიანეს **2024 წლის 07 ივნისს, 17:00 საათისა** - განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე ინფორმაცია დადგენილ ვადებში დარეგისტრირებული კონკურსანტების შესახებ და საკონკურსო მასალები გადაეცეს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს;

გ) **კონკურსი ჩატარდეს** (ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული იქნეს შესაბამისი განყოფილებების უფროსების კანდიდატურები და წარდგენილი იქნეს შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორისათვის) - **2024 წლის 10 ივნისს**;

დ) ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული განყოფილებების უფროსების კანდიდატურები, შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცების შემთხვევაში წარედგინოს ბსუ-ს რექტორს არაუგვიანეს **2024 წლის 11 ივნისისა** და გამოიცეს ბრძანება გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე (ვადით - 2024 წლის 12 ივნისიდან 5 წლის ვადით - 2029 წლის 12 ივნისამდე).

3.. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) უფროსის თანამდებობაზე შესაძლებელია არჩეული იქნეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის N07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით“ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

3.1 <u>ბსუ-ს წესდების თანახმად</u> **მთავარი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობაზე აირჩევა:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის **არანაკლებ 6 წლის** გამოცდილება და აკმაყოფილებს ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წინამდებარე წესით განსაზღვრულ დამატებით პირობებს;

ბ) **უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი,** რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა).

3.2. <u>ბსუ-ს წესდების თანახმად,</u> **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობაზე აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

3.3. **მთავარი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობაზე **უვადოდ** ასარჩევად კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებს **შემდეგ დამატებით პირობებს:**

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის (The Clarivate Analytics Impact Factor) ან Q1-ს მქონე Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/ პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი;

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით ხელმძღვანელობდა დოქტორანტს/დოქტორანტებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ე) გამოცემული აქვს შესაბამისი მიმართულებით მონოგრაფია;

ვ) თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.);

ზ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის/უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო ან პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

4. **ბსუ-ს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობაზე (ვადიანი) ასარჩევად კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებს **შემდეგ დამატებით პირობებს** („ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის" მე-3 მუხლის 5.2. პუნქტის თანახმად <u>**2025 წლამდე არჩევის პირობები):**</u>

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი ან ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი;

დ) გამოცემული აქვს შესაბამისი მიმართულებით მონოგრაფია;

ე) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის/უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო ან პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

5. **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის **არანაკლებ 3 წლის გამოცდილება** და **აკმაყოფილებს შემდეგ დამატებით პირობებს:**

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშორომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი;

დ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის/მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო ან ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

6. **სამეცნიერო** სტრუქტურული ერთეულების **(განყოფილებების) უფროსის თანამდებობაზე არ შეიძლება დასაქმდეს** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის

ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

7. **სამეცნიერო** სტრუქტურული ერთეულის **(განყოფილების) უფროსის** კონკურსში მონაწილე **კონკურსანტმა ელექტრონულად უნდა წარმოადგინოს** საკონკურსო განაცხადი **(ანკეტა)** - შევსებული კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანების შესაბამისად (ბრძანების **დანართი №3** - ელექტრონულად, ბსუ-ს პორტალზე, მოდულში ,,სამეცნიერო განყოფილების უფროსის კონკურსი") **და** თან უნდა დაერთოს (აიტვირთოს) შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული და საკონკურსო განაცხადში **(ანკეტაში)** ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული **დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია:**

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ);

გ) საკონკურსო მიმართულებით მომზადებული მონოგრაფია (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში);

დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას - საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებისათვის;

ე) სამეცნიერო კვლევის კონცეფცია;

ვ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);

თ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი **(სავალდებულოა** - თუკი **უვადო მთავარი მეცნიერი** თანამშრომლისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას უთითებს კონკურსანტი; **სასურველია** - თუკი ინგლისური ენის ფლობის შესახებ ინფორმაციას მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას უთითებს კონკურსანტი საკონკურსო განაცხადში/ანკეტაში);

ი) ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში სამეცნიერო მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები (**შენიშვნა:** _____ ბსუ-ში დასაქმებული/შრომითი გამოცდილების მქონე სამეცნიერო/აკადემიური პერსონალის შემთხვევაში საკმარისია **ელექტრონული სააპლიკაციო განაცხადის** შესაბამის ველში ატვირთვა);

კ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის დღისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).

8. საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) და დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენისა და **საპროცედურო კომისიის** მიერ დადასტურების შემდეგ, კონკურსანტმა **ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში** (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, **პირველი კორპუსი, ოთახი N14)** **მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს** ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით" გათვალისწინებული და წინამდებარე ბრძანების **N2 დანართში აღნიშნული საკონკურსო დოკუმენტაცია);**

ა) ელექტრონულად წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ამობეჭდილი ვერსია;

ბ) 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);

გ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ) (**შენიშვნა:** ბსუ-ში დასაქმებული/შრომითი გამოცდილების მქონე სამეცნიერო/აკადემიური პერსონალის შემთხვევაში არ არის სავალდებულო ელექტრონული სააპლიკაციო განაცხადის შესაბამის ველში ატვირთული და დადასტურებული მასალის წარმოდგენა);

დ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

9. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - **განყოფილების უფროსი შეირჩევა შესაბამისი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ,** ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კანდიდატმა თუ ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს გაიმართება მე-2 ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. საუკეთესო შედეგის მქონე სამი კანდიდატიდან ორი თანაბარი ხმების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში მე-2 ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე კანდიდატი. კონკურსის მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღეს, ცხადდება ხელახალი კონკურსი. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო საბჭოს სხდომას არ ესწრება ან კენჭისყრაში არ მონაწილეობს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ცხადდება ხელახალი კონკურსი.

10. ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის- www.bsu.edu.ge კონკურსების ველის მეშვეობით საკონკურსო განცხადებასთან ერთად კონკურსანტებისათვის **ხელმისაწვდომია გასაცნობად შემდეგი სამართლებრივი აქტები** (ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის N07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესი"; ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა; ინსტიტუტების დებულებები).

„ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 20 მაისის N01-02/63 ბრძანების

N3 დანართი

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის მონაწილე კონკურსანტის **საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ფორმა**

1. **საკონკურსო განაცხადში (ანკეტა)** კონკურსანტის შესახებ **ზოგადი ინფორმაცია, მათ შორის:**

1.1. **კონკურსანტის პირადი ინფორმაცია**: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, ბოლო სამსახურებრივი პოზიცია;

სახელი	
გვერი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია	

1.2. **საკონკურსო პოზიცია** (ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (შემდეგში - ინსტიტუტის) დასახელების, ამ ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (შემდეგში - განყოფილება) დასახელების მითითებით:

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი	**ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი**	**აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი**	**ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი**

ერთეულის - **ინსტიტუტის და ამ ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - საკონკურსო **განყოფილების დასახელება**	1. ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება - ☐ 2. ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება - ☐ 3. ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილება - ☐	1. აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილება - ☐ 2. ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილება - ☐	1.ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილება - ☐ 2. გამძლეობის გენეტიკის განყოფილება- ☐ 3. კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილება- ☐ 4. მცენარეთა დაავადების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილება- ☐
სამეცნიერო თანამდებობა, რომლისათვის წარდგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს კონკურსანტი	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო)	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (5 წლის ვადით)	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
	☐	☐	☐

1.3. განაცხადი და თანხმობა ბსუ-ს შემდეგი რეგულაციების გაცნობაზე:

- ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა (წარმომ. საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/41, 08.09.2023წ.) - ☐
- ბსუ-ს ეთიკის კოდექსი (წარმომ. საბჭოს გადაწყვეტილება N02, 27.07.2017წ.) - ☐
- ბსუ-ს შინაგანაწესი (წარმომ.საბჭოს გადაწყვეტილება N02, 09.09.2011წ.) - ☐
- ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესი - (წარმომ.საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/15, 12.02.2024წ.) - ☐

1.4. პერსონალური მონაცემების დამუშავება და თანხმობის განაცხადი

☐ „პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თქვენი თანხმობით ადასტურებთ, რომ ინფორმირებული ხართ წინამდებარე **საკონკურსო განაცხადში აღნიშნული და წარმოდგენილი პერსონალური მონაცემების** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის** (შემდეგში - ბსუ; მისამართი: საქართველო, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35) **მიერ დამუშავება განხორციელდება:**

ა) ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შესაბამისი **სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის** - განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის;
ბ) კონკურსის შედეგების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით ან ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის/სამსახურში მიღების შესახებ საუნივერსტეტო რეგულაციებით გათვალისწინებული პროცედურების/საქმიანობის და მისგან გამომდინარე მოქმედებების/ დაკისრებული ვალდებულებების განხორციელების მიზნით.

(**შენიშვნა:** თქვენ პერსონალურ მონაცემებს ბსუ შეინახავს და დაამუშავებს წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მიზნებისთვის, იმ ხანგრძლივობით, რაც საჭიროა ამ დოკუმენტში მითითებული საქმიანობის შესასრულებლად ან დაამუშავებს კანონმდებლობით დაშვებული ვადით (მაგალითად, შესაძლოა შევინახოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, თუ ეს აუცილებელია ვალდებულების/სამართლებრივი მოთხოვნის შესასრულებლად, დავის/სასამართლო პროცესის მიზნებისათვის).”

2. ინფორმაციის I ჯგუფი - განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება

ა) განათლება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა; დასრულების წელი; მიღებული კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი.
ბ) დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი - დისერტაციის თემა; მინიჭებული კვალიფიკაცია; დისერტაციის დაცვის თარიღი.
გ) სამსახურებრივი გამოცდილება - დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა; მუშაობის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
დ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები - თარიღი; კურსების/ტრენინგების დასახელება; დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი.

3. ინფორმაციის II ჯგუფი - სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა (**შენიშვნა:** თუკი კონკურსანტი ბსუ-ში დასაქმებულია/შრომითი გამოცდილების მქონე **სამეცნიერო/** აკადემიური თანამდებობის პირია, ამ ქვეპუნქტის მონაცემები ავტომატურად შეივსება ბსუ-ს სამეცნიერო მუშაობის შეფასების ელექტრონული პორტალიდან - **www.portal.bsu.edu.ge/sa**):

ა) სამეცნიერო ნაშრომები (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - სამეცნიერო ნაშრომის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი, გვერდები; სტატუსი (დაბეჭდილი/დასაბეჭდად მიღებული); ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი.
ბ) სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (არაუმეტეს ხუთი) - სამეცნიერო ნაშრომის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი, გვერდები; სტატუსი (დაბეჭდილი/დასაბეჭდად მიღებული); ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი.
გ) მონოგრაფია (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - მონოგრაფიის სათაური; გამომცემლობა, ISBN, გვერდების რაოდენობა; ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოყენებული სტატია; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი;
დ) გამოგონება/პატენტი (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - რეგისტრაციის თარიღი; გამოგონება/პატენტის სათაური; საპატენტო ორგანიზაცია.
ე) სამეცნიერო ღონისძიება (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - მოხსენების სათაური; ღონისძიების დასახელება; ღონისძიების ორგანიზატორი,

ჩატარების ადგილი; აბსტრაქტების/გამოცემების ინდექსირება; ჩატარების თარიღი; თანაავტორ(ებ)ი.

ვ) მიმდინარე/დასრულებული საგრანტო პროექტები (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - საგრანტო პროექტის სათაური; ჩართული ძირითადი პერსონალი; სტატუსი პროექტში; დამფინანსებელი ორგანიზაცია; დაწყება-დასრულების თარიღი; პროექტის ტიპი (საერთაშორისო/ეროვნული/ ბსუ-ს შიდა მიზნობრივი/); პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატია.

ზ) წარდგენილი საგრანტო პროექტები (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - საგრანტო პროექტის სათაური; ჩართული ძირითადი პერსონალი; სტატუსი პროექტში; დამფინანსებელი ორგანიზაცია; თარიღი; პროექტის ტიპი (საერთაშორისო/ეროვნული/ბსუ-ს შიდა მიზნობრივი/); მიღებული მაქსიმალური შეფასება;

თ) თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.) - თანამშრომლობის ფორმა; უნივერსიტეტის/სამეცნიერო ცენტრის დასახელება; დაწყებისა და დასრულების თარიღი;

ი) საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი (ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული) ნაშრომი - პუბლიკაციის სახეობა; პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი; გამოქვეყნების წელი.

კ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

4. ინფორმაციის III ჯგუფი - სხვა სახის აქტივობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)

ა) სტუდენტთა ხელმძღვანელობა - მაგისტრანტებისა, დოქტორანტების ნაშრომები; საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომები;

ბ) აქტივობის დასახელება - ჯილდო, სტიპენდია, უცხო ენების ცოდნა და სხვა პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობა